

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების როლი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია ხარისხიანი ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში, რადგან ზუსტი სააღრიცხვო ინფორმაცია მნიშვნელოვანია ფირმის დაგეგმვის, კონტროლის სისტემისთვის და, ძირითადად, ეკონომიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად. განვითარებადი ქვეყნებში კარგი აღრიცხვის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია დაეხმაროს და გადაჭრას პრობლემების ფართო სპექტრი, რომლებიც ბლოკავს ეკონომიკურ ზრდას: უმუშევრობა, ცუდი განათლების სისტემა, გლობალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), განვითარებადი ქვეყნები, ეკონომიკური ზრდა, გაეროს ძირითადი მიზანი გრძელვადიანი დაგეგმვის - „მდგრადი განვითარების მიზნები 2030 წლისთვის“ (SDG).

ძირითადი ტექსტი

წლების განმავლობაში მზარდი გლობალიზაციის გამო, ერთიანი სააღრიცხვო სისტემის მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის საბჭომ (IASB) აღიარა ეს მოთხოვნა და შეიმუშავა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS, ყოფილი IAS). დღეს ეს სტანდარტები ფართოდ არის გავრცელებული და გამოიყენება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის მიერ.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების მაღალი ხარისხი და აღრიცხვის ერთიანი სისტემა განვითარების ძირითადი მოთხოვნებია. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სისტემის არარსებობა, რომლებიც ადაპტირებულია განვითარებადი ქვეყნის სპეციფიკურ სიტუაციასთან, შეაჩერებს ან შეაფერხებს განვითარების პროცესს. კავში-

ზურაბ ლიპარტია

სტუ-ს პროფესორი

მარიამ შინელაური

სტუ-ს დოქტორანტი

რი ბუღალტრულ აღრიცხვასა და განვითარებას შორის ფართოდ აღიარებულია. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა რაც უნდა დაისვას არის, ფასს-ებს თუ შეუძლია დაეხმაროს ამ კავშირის განმტკიცებას.

მულტინაციონალური კომპანიები, რომელთაც სხვადასხვა ქვეყნებში გააჩნიათ შვილობილი კომპანიები ან წარმომადგენლობები, იძულებულნი არიან გამოიყენონ სხვადასხვა აღრიცხვის სტანდარტები. ფასს-ების (ან ყოფილი ბასს IAS) შემოღებით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) ცდილობს ჰარმონიზაცია გაუწიოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს მსოფლიოს ქვეყნებში და გაზარდოს შესაძარისობა, სანდოობა და გაგება იმ მნიშვნელოვან დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორებიც არიან ინვესტორები და სახელმწიფო უწყებები.

IASB ვერ დააგადასტურებს მთავრობებს გამოიყენონ აღნიშნული სტანდარტები, მაგრამ რაც უფრო გაფართოვდება მისი გამოყენების არეალი, უფრო ადვილი იქნება მსოფლიოში კომპანიების მდგომარეობის შედარება და ეს ხელს შეუწყობს ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების გამოყენება ნიშნავს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები შეიძლება გამოითვალოს სხვადასხვა დაშვებების საფუძველზე. შესაბამისად, ამ დროს საჭიროა ეროვნული აღრიცხვის სტანდარტების შედგენის შესწავლა, რადგან მოთხოვნების მცირე განსხვავებამაც კი შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე - მაგალითად, კომპანიამ შეიძლება აღიაროს მოგება ეროვნუ-

ლი აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების მიხედვით, მაშინ როდესაც ფასს-ით აღრიცხვის შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა მოგების აღიარებას.

IASB განმარტავს ფასს-ები კონცეპტუალურ ჩარჩოებში, რომ მათი მთავარი მიზანია შექმნას სისტემა, რომელიც გასაგები, გამჭვირვალე და გამოსადეგი იქნება მომხმარებლების ფართო სპექტრისთვის:

”ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია უზრუნველყოს ფინანსური ინფორმაცია საანგარიშო სუბიექტის შესახებ, რომელიც სასარგებლოა არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის, კრედიტორებისთვის და სხვა სუბიექტებისათვის რესურსების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში”.

ამავე კონცეპტუალურ ჩარჩოში, IASB განსაზღვრავს სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის გარკვეულ თვისობრივ მახასიათებლებს, რომელსაც უნდა შეიცავდეს ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგება. ისინი საუბრობენ ორ ფუნდამენტურ პრინციპზე: რელევანტურობა და სამართლიანი წარდგენა, ამას ემატება შემდეგი გამაძლიერებელი მახასიათებლები: აღქმადობა, შესადარისობა, არსებითობა, საიმედოობა, დროულობა, წინდახედულობა, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა, სისრულე. ასევე შეგვიძლია დავამატოთ - ბალანსი ინფორმაციის სარგებლიანობასა და დანახარჯებს შორის, სადაც აუცილებელია, რომ


ინფორმაციით მიღებული სარგებელი აღემატებოდეს მისი მომზადებისთვის საჭირო დანახარჯებს. სარგებლისა და დანახარჯების შეფასება, ძირითადად, მსჯელობის საფუძველზე ხდება. გარდა ამისა, აუცილებელი არაა, დანახარჯები იმ პირებმა გასწიონ, ვინც სარგებელს იღებს. ამასთან, ხშირად ინფორმაციიდან სარგებელს მომხმარებელთა ფართო წრეები იღებენ.

2005 წელს ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ დაიწყო ფასს-ის გამოყენება მათი აღრიცხვის ცალკეული და წინააღმდეგობრივი ეროვნული სტანდარტების შესაცვლელად. ეს იყო საწყისი დარტყმა მრავალი სხვა ქვეყნისთვის, რომ მიჰყოლოდნენ ევროკავშირს და დაენერგათ მათაც IFRS ეროვნულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. ცოტა ხნის შემდეგ მათ რიცხვს შეუერთდნენ სხვა ქვეყნები, როგორიცაა ავსტრალია და ახალი ზელანდია. ასევე, მრავალი განვითარებადი ქვეყანა ცდილობს მოერგოს ფასს-ებს, მაგრამ ამ ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა ადგილობრივი კულტურების და ეკონომიკური განვითარების სპეციფიკურობის გამო.

იმისათვის, რომ დავინახოთ რამდენად იქნა IASB-ის მიზანი მიღწეული, დანერგილიყო გლობალურ დონეზე ფასს და მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფასს, ინფორმაციას გვაწვდის შემდეგი ციფრები: 2018 წლის მონაცემებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) გამოყენება სავალდებულოა 166 ქვეყანაში.



გრაფიკი 1- I დშ გაერცელების არეალი მსოფლიო მასშტაბით, სადაც სავალდებულოა მისი გამოყენება



გრაფიკი 2 - I ღშ ფორ შ ს გავრცელების არეალი მსოფლიო მასშტაბით, სადაც სავალდებულოა მისი გამოყენება.

წყარო: <https://www.ifrs.org/use-around-the-world/why-global-accounting-standards/>

ეკონომიკური განვითარება და ის უპირატესობები, რაც გამომდინარეობს მისგან - სიღარიბის შემცირება და შემოსავლების გათანაბრება, განვითარებადი ქვეყნების უპირველესი მიზნებია. თუმცა ამ პროცესში ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობა ხშირად უგულებელყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრული აღრიცხვა თავისთავად ვერ გადაჭრის სიღარიბის პრობლემას, მისი უარყოფა დამტკიცებულია, რომ განვითარების პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორია.

ისტორიული თვალსაზრისით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს გარკვეული კორელაცია აქვს კონკრეტული ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების დონესთან. კარგი აღრიცხვა აუცილებელია იმისათვის, რომ შეზღუდული რესურსები გადანაწილდეს სწორ და პროდუქტიულ კომპანიებზე. მთავრობას და ინვესტორებს, რომლებსაც შეუძლიათ ამ რესურსების მიწოდება, სჭირდებათ სანდო და სასარგებლო ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებების შესახებ, რესურსების ეფექტური განაწილებისთვის.

გარდა ამისა, ზუსტი სააღრიცხვო ინფორმაცია ასევე მნიშვნელოვანია ფირმის დაგეგმვის, კონტროლის სისტემისთვის და, ძირითადად,

ეკონომიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად. განვითარებადი ქვეყნებში კარგი აღრიცხვის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია დაეხმაროს და გადაჭრას პრობლემების ფართო სპექტრი, რომლებიც ბლოკავს ეკონომიკურ ზრდას: უმუშევრობა, ცუდი განათლების სისტემა, გლობალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობის საკითხები.

ბუღალტერია არის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ძლიერი და ჯანმრთელი ეკონომიკური ბაზრებისა და საწარმოებისთვის. ის გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული განვითარებადი ქვეყნებისთვის. ეს იყო ასევე გაეროს ძირითადი მიზანი გრძელვადიანი გეგმის - „მდგრადი განვითარების მიზნები 2030 წლისთვის“ (SDG) შექმნისას. აღნიშნული პროგრამა 2015 წელს ამოქმედდა და შედგება 17 ძირითადი მიზნისა და 169 ქვე-სამიზნისგან, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: სიღარიბის დასრულება, პლანეტის დაცვა და ყველასათვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური განვითარებით, როგორც ამ მიზნების მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. 2015 წელს PricewaterhouseCoopers-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, კომპანიების უმრავლესობა

სობა გეგმავს SDG-ს ჩართვას თავიანთ ბიზნეს ოპერაციებში, რადგან მისი ჩართვით მათ შეეძლება მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინონ საწარმოს შედეგებზე, დაინტერესებული მხარეების მიმართ უკეთესი კომუნიკაციის, ხარისხის მართვისა და გამჭვირვალობის გამო (გაერო, 2018b). ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელობა მიზნების მისაღწევად ოფიციალურად იქნა აღიარებული ISAR (ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების ექსპერტთა მთავრობათაშორისი სამუშაო ჯგუფის) ოცდამეორე სხდომაზე. მნიშვნელოვანია, რომ ბუღალტრები შეიტანონ როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ინფორმაციას განვითარების შესახებ და SDG-ის მიმდინარეობაზე მათ ანგარიშებში (Bebbington & Unerman, 2018; United Nations, 2018b).

Perera (1989) განმარტავს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა კარგად შემუშავებული და კარგად ადაპტირებული სტანდარტებით, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც "ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მონაცემთა ბაზა". ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას პროფესიონალებისგან შემდგარი სააღრიცხვო ორგანოც არ ჰყავს, რომ დაადგინოს ძირითადი აღრიცხვის წესები თავიანთ ქვეყანაში, რაც მთავარ პრობლემებს უქმნის ქვეყანას ეკონომიკური ზრდის გზაზე.

სტატიაში პერერა (1989) აჯამებს სხვადასხვა მიზეზებს, თუ რატომ არის აღრიცხვის ერთიანი სისტემა განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში აუცილებელი. **პირველ რიგში**, ზემოაღნიშნული საჭიროება უფრო დიდია ქვეყნებისთვის, რომლებიც უფრო მეტად არიან ჩართულნი ეკონომიკურ გადაწყვეტილებებში, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის. შესაბამისად, ეფექტური დაგეგმვისთვის ცენტრალურ ორგანოებს სჭირდებათ კარგი და საიმედო ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარე-

ობის შესახებ. ამ ინფორმაციის შეგროვების ყველაზე ეფექტური გზა არის იმ შემთხვევაში, თუ საწარმოები იყენებენ ერთიან სააღრიცხვო სისტემას, რომელიც მაღალკვალიფიციური და სანდოა. **მეორე**, მწირი რესურსების გამო, რაც განვითარებად ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, თვითრეგულირებადი ბაზრის მექანიზმები არ იქნება საკმარისი ეფექტური რესურსების განაწილებისთვის და მთავრობები უნდა ჩაერიონ. ამისათვის, საჭიროა საბუღალტრო ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიებს შორის შედარებისთვის, რათა გაირკვეს, თუ რომელი მათგანს სჭირდება მთავრობის ჩარევა და მხარდაჭერა. **მესამე მიზეზი** არის განვითარებად ქვეყნებში საბუღალტრო ცოდნისა და განათლების არარსებობა, რაც ართულებს სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის ადმინისტრირების პროცესს. **მეოთხე**, კვალიფიციური მენეჯმენტი, რომელიც განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ მწირია, არის მთავარი პირობა განვითარების გზაზე.

დასკვნა

ამრიგად, ზოგადი დასკვნის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუღალტრული აღრიცხვა გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, რაც ძირითადად გამოწვეულია ინფორმაციის არქონით, როდესაც აღრიცხვის ხარისხის ნაკლებობას აქვს ადგილი. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება განვითარებად ქვეყნებში გაზრდის ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობას, შესაძარისობას და ანგარიშგაღებულობას და გააუმჯობესებს ანგარიშგების ფინანსური ინფორმაციის ხარისხს. შესაბამისად, ეს გააუმჯობესებს კაპიტალის მოძრაობას და ინვესტიციებს ამ ქვეყნებში, დაეხმარება მათ თავიანთი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტაში, მიაღწიონ უფრო მეტ ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას.

1. ლიპარტია ზ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში, თბილისი - 2017 წელი, მონოგრაფია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
2. ჭუმბურიძე ლ., - ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება. (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით) მონოგრაფია - თბილისი, გამომცემლობა შპს „დანი“, 2014.
3. Perera, M. H. B., (1989). “Accounting in Developing Countries: A Case for Localized Uniformity”, *British Accounting Review*, 21, pp.141-158;
4. <https://www.ifrs.org/use-around-the-world/why-global-accounting-standards/>
5. Achieving the United Nations Sustainable Development Goals: An enabling role for accounting research, Jan Bebbington, Jeffrey Unerman;
6. Makarenko, I., & Plastun, A. (2017). The role of accounting in sustainable development. *Accounting and Financial Control*, 1 (2), Retrieved April 24, 2018, from dx.doi.org/10.21511/afc.01(2).2017.01

The Role of IFRS in Economic Growth of Developing Countries

Mariam Pitskhelauri, Doctoral Student of GTU,

Zurab Lipartia, Professor of GTU

Summary

Accounting plays an important role in the economic affairs of a country such as the calculation of national and personal income, the administration of taxation and credit facilities, the costing of government expenditures, and the appraisal of investments and financial reporting of corporations to the markets.

The quality of accounting information is vital to the functioning of a company, and therefore to efficient resource allocation. Accurate information about the financial performance of the enterprise is essential for planning and control purposes, and it is crucial to every economic decision. Hence, the accounting rules must be properly designed in order to not allow the distortion of financial facts, which would then lead to the misallocation of resources in non productive uses.

Developing countries, in the present globalized economy, are striving to achieve economic development. Relevant information is essential to value the economic performance of these countries. In many developing countries there is a lack of such information.

Accounting plays an important role in economic growth of developing countries by providing the necessary information needed to implement the economic planning process successfully. Thus, implementing and developing a sound accounting system would greatly influence the economic development in these countries.